



Ճամասակներ ԿԵՆԱ ԺԱՅԸՆ

მოსამზადებლი უკაფ - 2019 წლი

- მოთხესნება გამოსაშვები გამოცდები მე-11 კლასეებისთვის;
 - მე-12 კლასში გამოცდები ჩატარება ასებული ფორმატით და ამ ეტაპზე ას შეიცვლება აქტესტატის გაცემის წესი;
 - იმ პირებს, რომელმაც ნინა წილი ვებ გაღიანების ბაზიზი თუნდაც უნდა საგანში და ვებ აილეს აქტესტი, უფრება აქვთ ღარების სტანდარტული დანართები;
 - ესთიანი უწყვეტი გამოცდების ფორმატში უკითხებები ას იგეგმება - შეიცვალა წესი, რომელის მიხევვითაც აჩვევით საგანში ჩატარება ან გამოცდაზე აჩვამდებარების შემთხვევაში აბიუტურენტი ასაგაფრა გახანის მიღობის შესაძლებლობას.

ԵԱՀԿԻՒԹՅՈՒՆ ԿՄԿՆՅՈՒ - 2020 ԵՎԸՆ

- მისალები გამოცდები ჩატახება სამ სავალებელო საგანში: ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენის გამოცდები სავალებელო იქნება უკერა აბიცეულენტისთვის; მესამე სავალებელო საგანი განისაზღვება უმაღლესი სასწავლებელის პროგრამების მიხედვით: მათემატიკა - უკენისაუკენი მიმართულებების შემთხვევაში ან ისტორია - ჰემანიკასაუკენი მიმართულების შემთხვევაში;
 - აბიცეულენტებს კვლავნიღებულია შეუზღუდვად შეეძლებათ ასტრონომიული სამოქმედო მიმართულებების პროგრამები.

დისკუსია „დედა ენის“ გარემო

ფრთხელამ – „დელაცნა“!

ପ୍ରେସ୍ ୫

ՀԱՅ ԶԱՐԴԵՐՈՒԹՅՈՒՆ

გთავაზობით ნაცაის
მენიციპალიტეტის ღახაქოვის საჯაშო
სკოლის ისკონის მასნავიების,
ნანა სობორონიანის მოებ
მე-9 ყდასში ჩატახებული
ლია გაკვეთილის გეგმას, თემაზე -
„რაჭით აღმაშენების უპირა“



கணக்கு 6

1-3000 30<30-12

რეზო აფხაზავა

ზოგიერთს გამოცდა განათლების მამოძრავებელ ძალად მიაჩინია და ამიტომ უნდა განიმარტოს, რომ იგი აჩენს არა განათლების მიღების, არამედ მხოლოდ გამოცდის ჩაბარების მოტივაციას, ხოლო გამოცდისთვის მზადების პროცესს კი არ არის განათლება, მისი საუკეთესო გაგებით. გამოცდას აქვს (უნდა ჰქონდეს) კონკრეტული მიზანი და დანიშნულება. ჩეენ შემთხვევაში, საატესტაცო გამოცდების მიზანი მთლიანად დაკარგულია, ხოლო ზოგადი უნარების გამოცდის კი – მუշკრებელი.

სიმონ ჯანაშვილი

რაც ნაკლები ცენტრალური ბეჭული გამოცდა იქნება, მით უფრო სამართლიანი, ხარჯთვეექტური, განვითარებადი სისტემის შექმნის შესაძლებლობა გვექნება. ეს ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ არასკომარისი იმისთვის, რომ რაღაც გაუმჯობესდეს. საჭიროა განათლების ხარისხის მოთხოვნის ზრდის ნახალისება; უფრო დიფერენცირებული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება; მნიშვნელოვანია სკოლებში პროგრამების მრავალფეროვნების ნახალისება და ა.შ.

၈၁၈၊ အေဂျင်နှင့်အေဂျင်

გამოცდების გაუქმება გულისხმობს, რომ ჩვენ გვყავს კრიტიკული ოდენობა ისეთი პედაგოგებისა, ვინც სწავლების ყოველდღიურ პროცესს ისე პატრონიბს, როგორც საჭიროა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს ბავშვი არა რაღაც ალგორითმების ათვისებისაკენ, არამედ, როგორც მაქს შელერი იტყოდა, სულის ახალი მდგომარეობისაკენ. ამ შემთხვევაში, ცხადია, გამოცდა ზედმეტი ტკიროთა. ახლა, თავად განსაკვეთ, გვყავს თუ არა. თუ გვყავს, გამოცდების გაუქმებას აზრი აქვს. თუ არ გვყავს, ხომ არ შემოძრუნდება ავადსახსენებელი 70-ანი წლები, როდესაც მისალებ გამოცდაზე ატესტატების კონკურსი იქნა შემოღებული და ამან სკოლებში არნახული კორუფცია გააჩინა? სულო ცოდვილო და თუ ასეთი პედაგოგები არ გვყავს, გამოცდების გაუქმება, უმაღლ, ვალების ჩამონერას ემსახვება და უფრო პოლიტიკური აქტია, ვიდრე საგანმანათლებლო. მკვდრალმობლი „სტრუქტურული ცვლილებების“ პროექტები კარგს ვერაფერს მოვცემს, თუ ძირულად არ შეიცვალა ჩვენი დამოუკიდებულება განათლების, როგორც ფენომენის მიმართ. ეს რთული და დიდი თემაა და მას აქ არ შევეხები. სამწუხაროდ, ეს სვეროვერ გამოითავისუფლდა მიმდინარე პოლიტიკის ვალენისაგან. პოლიტიკურად არასტაბილურ ვითარებაში შეუძლებელია 10-15 წლზე გათვლილი სტრატეგიის შემუშავება.

07061 აგულაძე

10 ნდლამდე საბაზო განათლების გაზრდა ნიშნავს, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, იმ 13 პროცენტზე მეტ მოსწავლეს, რომელიც ყოველწლიურად ტოვებს სკოლას მეთე კლასში, მისცემს საცუდებლიინი ზოგადი განათლება და აუცილებლად უზრუნველყოფს მისი ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

სალენდინგის სამურადო გენერატორი!

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან
ორგანიზაციები ვალდებული არიან, ღოცუმენტებზე (ამ
შემთხვევაში, გაზითის სელმოწერის სელვეპრულებაზე)
შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული სელმოწერა
ან/და ას ღოცუმენტები (სელვეპრულებაზე) დაამოწმონ
კვალიფიციური ელექტრონული აქტები.

კალიგრაფისა და ეფორტული მოვაკის. აკადემიუმი გამოიძინა გამოცემით, „ახალი განათლების“ რედაქცია მოგამართავთ თხოვნით, ჩვენს მიერ მოწოდებული მატერიალური ხელშეკრულებაზე, 10 თაბართლამდე, გადმოგვიგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე axaliganatleba1@gmail.com, რომელიც დაგიმოწვებთ ელექტრონული ხელშეკრული და უკან დაგიბრუნებაზე. ეს პროცედურა საშუალებას მოგვეძეთ, ხელშეკრულებები უკრობლეობდ ატვირთოთ სახელმწიფო მუსიკოსების ელექტრონულ სისტემაში.

გთხოვთ, აუცილებელად დაიცვათ მითითებული კადა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირით
ნომრადასტარ: 593 300 264, 599 88 00 73

გაადლობთ თანამშრომელობისთვის!

ცვლილებები საატესტაცო და ეროვნულ გამოცდები

ლალი პეტაძე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **სოფო გოგოძემ** გამოცდების ახალი მოდელი წარადგინეს. პრეზენტაციასას საზოგადოების მხრიდან, დღიდან გამოხმაურება მოჰყვა, უმეტესობა, კატის გამოცდების გაუქმებას დადებითად შევდა, ეროვნულ გამოცდებში განხორციელებულ ცვლილებებს კი ჯერვარობით წარილი, ეჭვის “თვალით უყურებს და სვამს კოთხვას: ეს კარგია თუ ცუდი, რამ განაპირობა ან რას დაეფუძნა საგამოცდო სისტემაში ასეთი რადიკალური ნაბიჯების გადადგმა? შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის **სოფო გოგოძის** განცხადებით, ცვლილებები იმ კვლევის შედეგებს დაეფუძნა, რომელიც სამინისტრომ და ნაევმა ამ ბოლო დროს ჩაატარა. კვლევის შედეგებმა კი ისეთი პრობლემები გამოავლინა, რომელიც ცვლილებებს აუცილებლად მოითხოვდა. ნომერ პირველ პრობლემად ცენტრის ხელმძღვანელი გამოცდების გაზრდილ რაოდენობას ასახელებს, რომელსაც შედეგზე ვერ გავყავართ. „12 გამოცდაა საჭირო იმისთვის, რომ აპიტურიენტმა შეძლოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, ეს არის მინიმუმი. თუმცა, იმისთვის რომ შანსები გაეზარდათ 17 გამოცდასაც კი აპარარებდნენ – ეს არის ჯამური რაოდენობა როგორც საატესტატო, ისე ერთიანი ეროვნული გამოცდების. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი სკოლებში (განსაკუთრებით დამამთავრებელ კლასებში), მთლიანად გადაერთო გამოცდებისთვის მოზადებაზე. სულ არ არის ეს არალოგიკური, რადგან, როცა ამდენია გამოცდას ნინ, რა თქმა უნდა, ყველა ფიქრობს იმაზე, რომ წარმატების ინდიკატორი გამოცდის ჩაბარებაა, ნინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ატესტატს მიღილება და ვერც უმაღლესში ჩაბარებს. ამიტომ ამოტორის დასახლო პროცესი და მთლიანად გამოცდაზე ორიენტირებული გახდა“.

მისივე თქმით, ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი სა-
ერთოდ აღარ მიმდინარეობს და მან სკოლის გარეთ გადაინაც-
ვლა. ბავშვები გაცდენების მაღალი დასაშვები პროცენტით
სარგებლობენ და ალარც კი დადიან სკოლაში, რადგან ასე უფ-
რო კომფორტულად გრძნობენ თავს – ემზადებიან კერძოდ
რეპეტიტორულობას. როგორც კვლევიდან გამოვლინდა, პასუ-
ხის სმეგბლობასაც მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, იმ ადამია-
ნებსაც აკისრებენ, ვისთანაც ემზადებიან. „ამიტომ სკოლის
როლი თანდათან დაკინძდა, მას პასუხს კედარც მშობელი-
სთხოვს და დირექტორიც იმას ამბობს, რომ ანგარიშვალდე-
ბულება მშობლების მიმართ ნაკლებად აქვს, რადგან, მოსწავ-
ლეები სკოლაში აღარ დადიან.“ – ამბობს სოფო გორგაძე.

ცვლილების ერთ-ერთ მიზეზად ცენტრის ხელმძღვანელი იმასაც ასახელებს, რომ აპიტურინგნტები უნივერსალტეტი მოსახვედრად ისეთ საგნებასაც აბარებენ, რომელიც კონკრეტული პროგრამის სპეციფიკას არანაირად არ შეესაბამება. მაგალითად, არის შემთხვევა, როცა აპიტურინგტი ინჟინერიას უაბარებს და არჩევით საგნად დარგისთვის ნაკლებად რელევანტურ გამოცდას – ისტორიას ან გეოგრაფიას ირჩევს: „როცე უნივერსიტეტებს კვითხეთი ასე რატომ ხდება, გვითხრეს, რომ ისინი იძულებული არიან დაამატონ არა რელევანტური, არა მედ აპიტურინგნტისთვის უფრო იოლი გამოცდა. მაგალითად ინჟინერიის ფაკულტეტზე თუ დაამატებენ ფიზიკას, უფრო რელევანტური იქნება, მაგრამ აპიტურინგნტები ამ საგნის ჩაბარებას ერიდებიან, რადგან ფიქრობენ, შპანს ნაკლები აქვთ ამიტომ ირჩევენ მათვის შედარებით მარტივ საგნებს. შესაბამისად, უმაღლესი დანესტებულებაც იძულებულია არასწორ არჩევანი გააკეთოს საგანზე, მხოლოდ იმის გამო, რომ მსურველთა მოტივაცია არ შემცირდეს.“

სწორედ ამ მიზეზების გაანალიზებით მივიღნენ, მინიმუმ 12 გამოცდიდან, მინიმუმ, 3 გამოცდამდე. თუ უნივერსიტეტისა არ ექნება გამოცდის დამატების სურვილი, ეს მისთვის საკულტურულო არ იქნება, მაგრამ თუკი რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი ამის სურვილს გამოთქვამს ცენტრი მზადადა დაქმართს და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დამატებითი კომპონენტების განხორციელებაში.

ବାନ୍ଦିରୁଗୁଣ୍ୟବ୍ୟସିରୀ ନିର୍ମାଣକୁଶିଲ୍ପିରେ
ଶ୍ରୋଷ ଗୁରୁଗ୍ରହିଦିଳେ ବାନ୍ଦିରୁଗୁଣ୍ୟବ୍ୟସିରୀ ନିର୍ମାଣକୁଶିଲ୍ପିରେ
ମର୍ମଦେଖିଲେ ନାରମାନାଗ୍ରହିନ୍ଦେ, ଯିବେଳେ ଆଜ୍ଞାପିଲେ ଦେଖିଲାଏ କିମ୍ବା ଉତ୍ତରର ଦାନୀବ୍ୟୁକ୍ତିରେ
ଦେଖିଲେ ଏବଂ ପ୍ରେକ୍ଷିତରୀ ଲୋକା କାନ୍ଦିଲୁଗୁଡ଼ିକାପିଲେ ଦେଖିଲାଏ। ଅବାଲାମ୍ବିନୀ
ଲୋକରେ ଦେଖିଲେ ଏବଂ କାନ୍ଦିଲୁଗୁଡ଼ିକାପିଲେ ଦେଖିଲାଏ। କାନ୍ଦିଲୁଗୁଡ଼ିକାପିଲେ ଦେଖିଲାଏ
ଏବଂ କାନ୍ଦିଲୁଗୁଡ଼ିକାପିଲେ ଦେଖିଲାଏ। କାନ୍ଦିଲୁଗୁଡ଼ିକାପିଲେ ଦେଖିଲାଏ।

ხილი, რომელიც შესაძლოა ამ მიმართულებით გაჩნდეს. „ვეც დებით, რომ ძალაში შევიდეს მაქსიმალურად დახვეწილი მო- დელი, რომელიც, საბოლოო ჯამში, იმ შედეგის მომტანი გახ- დება, რისი მოლოდინიც გვაქვს.“ – გვითხრა სოფო გორგოძემ

ამის გარდა, პრეზენტაციაზე განმარტება გავეთდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც ქართული ენის მომზადების პროგრამაზე მათ ჩარიცხვას უზრუნველყოფს. სამინისტროში განცხადეს, რომ აზერბაიჯანულნოვანი და სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის აშ მიმართულებით არაფერი შეიცვლება და, კანონის თანახმად, იმავე ფორმატით გაგრძელდება მათი ჩარიცხვა აღნიშნულ პროგრამაზე. რაც შეეხება ოსურენოვან და აფხაზურენოვან აბიტურიენტებს, ზაფხულში მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ისინი ოსური ან აფხაზური ენის ტესტს უნარების ტესტის მსგავსად ჩააბარებენ, ნელს ვე ამოქმედდება.

შეფასებასა და გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი ახალი მოდელის დაწერვის მოსალოდნელ შედეგებს ასე განმარტავს: „ველოდეგითი სკოლის როლის თანდათან ზრდას განათლების ხარისხზე მეტ ირიგონტაციას, ფიკურუსირებას რეალურ ცოდნაზე და არა გამოცდისთვის მომზადებაზე; გამოცდების დუბლირების აღმოვჩერას, რომელიც პირდაპირ და თვალსაჩინო შედეგი იქნება, რადგან ერთი და იმავე საგნის გამოცდის ჩაბარება ორჯერ აღარ მოუწევს მოსხავლეს ასევე, მნიშვნელოვანი შედეგი იქნება მშობლების დანახარჯების შემცირება, რომელსაც ცვლილებებით ვვარაუდობთ და რომელიც ასევე ლოგიკური მეტვენება. დაბოლო – უნიკერსიტეტების ავტონომიურობის ეტაპობრივად ზრდა.“

მიხეილ ბატიაშვილმა, კულევით გამოკვეთილი პრობლემების

სისტემური ცვლილების ქრიოში ნარმოვიდგინოთ, რადგან მხოლოდ გამოცდის ცვლილება არაფერს მოგვცემს, ისევე როგორც არაფერი არ მოგვცა თავის დროზე კონკრეტული მიზნისთვის შემოღებულმა საატესტაციო გამოცდების სისტემაში. ბევრი მონაცემი გავაანალიზეთ და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მათ შორის სკოლის მიტოვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, რომელიც განსაკუთრებით მე-10 კლასში ფიქ-სირდება. თავისთავად, ეს რაღაცაზე მეტყველებს და აუცილებლად სჭირდება მიზზებს გამოკვლევა. თუმცა, ჩვენი საინფორმაციო სისტემა იმის შესაძლებლობას მაინც იძლევა, დავინახოთ, ძირითადად, რის საფუძველზე ხდება მოსწავლის მიერ სკოლის მიტოვება. რასაკვირველია, ასეთი მშრალი პასუხი მიზზებს შესახებ სრულ ინფორმაციას ვერ გვაძლევს, მაგრამ, ერთი დეტალი ძალის ნიშანდობლივია – მიტოვების მაჩვენებლის ზრდა სკოლაში საგამოცდო ცერიონის გეთხვევა.

ჩევნს ისტორიაში იყო შემთხვევები, როცა გამოსახვებ გა-
მოცდებზე ჩაჭრის გამო დირექტორებს ათავის გამოცდებს დღემდე მოჰყვება.
სკოლა, პრაქტიკულად, კედელთანაა მიყენებული. რასაკირვე-
ლია, მისი პასუხისმგებლობა მართლაც ძალიან მაღალი უნდა
იყოს, მაგრამ სწავლის პროცესში და არა გამოცდების შედეგებ-
თან მიმართებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, სკოლა სასწავლო
პროცესზე, კარგ გავლენილზე ორიენტირდეს და არა კატის გა-
მოცდების შედეგზე. გვაქვს ინფორმაცია ძალიან ბევრი ცუდა
შემთხვევების შესახებაც. მაგანთად, მასწავლებლებს, განსა-
კუთრობით ქალაქებში, სკოლებთან აღლოს, აქვთ სარეპეტიტო-
რო სივრცეები და საკუთარ მოსწავლეებს გარკვეული საფასაუ-
რით ამზადებო გამოცდებისთვის. მიმო მისი თქმის მნიდა, რომ
სამწუხაროდ, საგამოცდო სისტემაშ ბევრი სიმბიონჯე სარმოშ-
ვა. თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე სის-
ტემიდან არ გავიდეს, სამწუხაროდ, მოსწავლეთა სკოლიდან გა-
დინების ერთ-ერთ მიზეზად გამოცდების ვერდაბლებაც მიმჩნე-
ვა. ერთ-ერთი პრეზენტაციისას ვთქვით, რომ 5-6-წლიანებისით-
ვის, 2022 წლისთვის, სკოლამდელი მოსამზადებელი პროგრამებ-
ბი უნივერსალური უნდა გახვადოთ, რაც გულისხმობს დამატე-
ბით ერთ ნებს ქვემოთ. ცვლილებით, რომელსაც გთავაზობთ,
საგალდებულო საბაზო განათლების 9-წლიანი სწავლებიდან 10-
წლიან სწავლებაზე გადავიდებოთ (ამას ძალიან ბევრი ქვეყანა
აკეთებს. არსებობს საერთაშორისო კვლევებიც, რომ ერთიან
წლით მეტი დაყოვნება ფორმალურ საგანმანათლებლო სივრ-
ცეში, მინიმუმ, 9 პროცენტით მაღალ შემოსავალს უდრის მომა-
ვალში). რასაკირველია, ცვლილებას თავისი მიზეზები აქვს,
მათ შორის, მაგალითად, 9-კლასდამთვრებულ მოსწავლეს არც
ასაკობრივი და არც აკადემიური მზაობა არ გააჩნია იმისთვის,
რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს - გადავიდეს პროფესიულ
პროგრამაზე თუ გააგრძელოს სკოლაში, შემდეგ საცხეურზე
სწავლა. ამას ისიც ემატება, რომ მას ნინ გამოცდების ჩაბარება
უნებს, რომლისთვისაც უნდა მოემზადოს. თუ მომზადების თა-
ვი არ აქვს, ურჩევნია სკოლა მიატოვოს ან სცადოს ბედი. ასეთი
მოსწავლე ხსირად მეთერთმეტე კლასში იქრება გამოცდაზე და
უნებს კლასის გამეორება ან რაღაცნაირად გადადის შემდეგ
კლასში და მერე იქ იქრება გამოცდებზე. საბოლოო ჯამში, შე-
დეგად გვაქვს ის, რომ დღეს, ჩვენი მოსახლეობის საერთო ციფ-
რიდან, მილიონამდე ეკონომიკურად პროდუქტიული ადამიანი
დაუსაქმებელია. რატომ? იმიტომ, რომ ან არასრული განათლე-
ბა აქვს სკოლის დონეზე ან უმაღლესის განათლება აქვს, რო-
მელსაც ვერ იყენებს დასაქმებისთვის და ა.შ.

ერთ-ერთი სიახლე, რომელსაც პროფესიული განათლების პრეზენტაციაზე ვისაუბრებთ, საშუალო საცემურისა და პროფესიული განათლების ინტეგრაციის შესაძლებლობა იქნება. რატომ ვერ გადოოდნენ პროფესიულ განათლებაში საბაზო საცემურიდან? იმიტომ, რომ ატესტაცის ვერ იღებდნენ და ჩიბში ექცეოდნენ. საბაზო საცემურის 10-წლიან სისტემაზე გადასცვლა იმის შესაძლებლობასაც მოგვციმს, რომ მოსწავლე, რომელიც საბაზო ცოდნას მიიღებს მე-10 კლასის ჩათვლით, შეუძლია უკვე დასაქმების ბაზაზე გავიდეს ან კოლეჯში წარიდეს. იქ, სადაც ამის სურვილი და შესაძლებლობა იქნება მოხდება მათი ინტეგრაცია პროფესიულ კოლეჯებში და რაც მთავარია, მოსწავლე, რომელც პროფესიულზე ჩაბარებს ატესტაციას აიღებს, ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამით მიცემთ უფლებას, სურვილის შემთხვევაში, სწავლა გააგრძელოს როგორც მოკლე ციკლის საბაკალავრო, ორწლიან პროგრამებზე (რომელიც ასევე სახურავს ასე სრულსაც ასაკით პროგრამებზე).

အသေချုပ်၊ စာလျှော့ချုပ်)၊ ဝါဒ ၁၃၂၂ ခုနှစ်တွင် မြန်မာနိုင်ငံ၏ ရုပ်ပိုင်ဆိုင်ရာ အကျဉ်းချုပ်များ ဖြစ်ပေါ်လေသည်။ ရုပ်ပိုင်ဆိုင်ရာ အကျဉ်းချုပ်များ အမြန် မြန်မာနိုင်ငံ၏ ရုပ်ပိုင်ဆိုင်ရာ အကျဉ်းချုပ်များ ဖြစ်ပေါ်လေသည်။

საბაზო საფეხური 9-ტლიანი სცავლებიდან 10-ტლიან
სცავლებაზე გადადის.

ამის შესახებ ირინა აპულაძემ რეფორმის ფარგლებში გა-
მართულ პრეზენტაციაზე ისაუბრა: „მოუხდებად იმისა, რო-
ოლების გამოკლებული ესაზღრობით, აუკილებლივა კლილების

დისკუსია „დაზა ენოს“ გარემო

ფრთხილად – „დელავნა“!

ნიგნს ძეგლი პირველად თბილისში დაუდგეს და უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, „დედა ენის“ დღე, ტრადიციულად, 14 აპრილს აღინიშნება. რამდენიმე წლის წინ „დედა ენა“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაც გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა ერთგვაროვანი. მას ხშირად აკისრებდნენ არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური ინდიკატორის ფუნქციასაც. ასეა ახლაც: საზოგადოების ერთი ნაწილი მისტიკის იმ დროს, როცა ქართულ წერა-კითხვას გოგებაშვილის „დედა ენით“ სწავლობდნენ, ითხოვს მის დაბრუნებას სკოლაში, საამისოდ ხელმოწერებსა აგროვებს. ხშირად მათ პოლიტიკოსებიც უერთდებიან და წიგნს განსაკუთრებულ პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებენ, აპელირებენ მოსახლეობის პატრიოტულ განწყობაზე ისე, რომ თავადაც არ აქვთ გააზრებული, რომელი სახელმძღვანელო უნდა დაბრუნდეს სკოლაში და როგორ.

მეორე ნაწილს თვისის იყალბ გოგებაშვილის „დედა ენა“ მხოლოდ წარსულთან, დრომოქმულთან, მისა სკოლაში დაბრუნება კი, ანაქრონიზმთან ასლცირდება. ეს ნანილი სახელმძღვა-

ნელოს დაუყოვნებლივ შეცვლასა და ქართული ნერა-კითხვის
სწავლებაში უახლესი (ცვროპული, ამერიკული), „ტექნოლოგია-
ების“ დანერგვას მოითხოვს. ადრეც (და ახლაც) იყო ცდები ჩა-
ენაცვლებინათ ეს წიგნი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მიუ-
ხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, დროდადრო სკოლა მაინც
უზრუნდებოდა თავისი კალაპოტის, ანუ იმ პრინციპებს, რომლებ
ბიც ქართული ნერა-კითხვის სწავლების ისტორიაში გოგებაშ-
ვილმა დაამკვიდრა.

„დედა ენის“ პირველი გამოცემა 1876 წლით თარიღდება. იგი სწორედ იმ პერიოდში გამოვიდა, როცა რუსული იმპერია კულტურულად ცდილობდა ქართული ენის განვითარების სკოლებიდან, არისტოკრატია გაურბოდა მმობლიურ ენაზე საუბარს, ინტელიგენციის დიდი ნაწილი რუსულად აზროვნებდა. ამ პირობებში წიგნს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. გოგებაშვილის სიცოცხლეში „დედა ენა“ სულ 33-ჯერ გამოიცა. 1906 წლამდე (21-ე გამოცემამდე) იგი გამოდიოდა 2 წლის კურსით, ხოლო 1906 წელს ავტორს ორ ნაზილად გაუტია:

1. პირველი ნაწილი – „დედა ენა, პირველი ნაწილი პატარა მოთხოვობებით და დენიზთ ყველა სარწმუნოების ქართველ-თათვის“;

2. „დედა ენა, მეორე ნაწილი, საკითხავი წიგნი, ანბანის შემ-დეგ სკოლებში სახმარებელი“.

„დედა ენამ“, პირველიდან 33-ე გამოცემამდე, ცვლილებებისა და განახლების დიდი გზა განვლო: თანადათან იცვლებოდა საკითხავი მასალის ენა (უახლოვდებოდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს), საანალიზო სიტყვები (რომელთა საშუალებითაც ბავშვი ახალ ასო-ბეჭერას სწავლობდა), საკითხავი და სანერი მასალა, გასაცნობა ასო-ბეჭერათა თანმიმდევრობა. არ იცვლებოდა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც მას გამოარჩევდა ანბანის სახელმძღვანელოთა მორის: 1. თავად სახელწოდება „დედა ენა“; 2. ხალხურობის იდეა (ხალხური ნაწარმოებებით, ანდაზებით, ენის გასატეხებით წიგნის გამდიდრება; საკითხავი მასალის ენა, რომელიც ხალხის ენასთან იყო ახლოს); 3. ახალი ასო-ბეჭერებს სწავლების ანალიზურ-სინთეზური (დაღმაცალ-ალგამავალი) მეთოდი; 4. წინასწარი ვარჯიშის; 5. საანალიზო სიტყვებისა და დასურულთაბის პრინციპი; 6. ასო-ბეჭერათა თანმიმდევრობის პრინციპი (გენეტურობის/გენეტიკურობის, გავრცელებულობის, სიმარტივე-სირთულის...); 7. საკითხავი მასალის შერჩევისა და დალაგების პრინციპის (საკითხავი მასალა ბავშვებისათვის გასაგები, საინტერესო და ამავე დროს ფასეულობით ღირებულებებზე ორიენტირებული უნდა ყოფილიყო; „ყოვლი დიდი მწერალი ამავე დროს დიდი პედაგოგიცაა“); 8. თემატურობის პრინციპი (საკითხავი მასალა დაყოფილი იყო თემატურ-ბუღდიბრივი პრინციპის მიხედვით); 9. კითხვებისა და ნერის ერთდროული სწავლება; 10. თითო გავეთილზე თითო სირთულე; 11. კითხვა-წერის ხერხი; 12. უაზრო მარცვლების კითხვაზე უარის თქმა... სწორედ ეს იყო ამ წიგნის პოპულარობის მიზანი.

მთავარი კი ის გახლდათ, რომ ი. გოგებაშვილი, თავისი დროისათვის, დიდი რეფორმატორი იყო, ფეხდაფეხ მისდევდა და იმ სიახლეებს, რომელთაც ევროპული სკოლა სთავაზობდა და თანამედროვეობას, ამავე დროს ითვალისწინებდა ქართული ენის თავისებურებებს, ეროვნულ ფასეულობებს და არ ახდენდა ინოვაციური მეთოდების ბრძანა კოპრებას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაუქმდა ქართველი განამანთლებლების მიერ დიდი ძალისხმევითა და რუდულებით შექმნილი ქართული დაწყებითი სკოლა. ეს ის პერიოდია, როდესაც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ უკვე წარმატებით აქვს ჩაბარებული გამოცდა, იგი აპრობირებულია და „დედა ენა“ ანბანის რიგითი სახელმძღვანელოდან ქვეყნის ეროვნული იდენტობის საფუძვლად არის ქცეული. სწორედ ამის გამო საბჭოური ხელისუფლება ან წიგნს დღიდად აღარ სწყალობს. იგი ფაქტობრივად აღარ გამოიცემოდა და ბუნებრივია, აღარც გამოიყენებოდა. როგორც ცნობილია (იხ. ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, 1957), 1922-1926 წლამდე, ნერა-კითხვას ჩვენს სკოლებში ძირითადად სახლის და სამართლებრივი მიზანის მიხედვით მიმდინარეობდა.

ლებელს ევალებოდა, თავად შეედგინა სასწავლო რესურსები – საანდანო წიგნაკი, პლაკატები, ალბომი და სხვ. ამავე ნელს განათლების კომისარიატს გამოუშვია სახელმძღვანელო პლაკატები, რომლებსაც თან ერთოვდა მითითებანი, თუ როგორ უნდა გამოყენებინათ ისინი სწავლების პროცესში. როგორც ჩანს, სკოლას ძალზე გაუჭირდა „უარაფროდ“ სწავლება, ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატს 1925 ნელს გამოუცია გოგებაშვილის „დედა ენა“, შეცვლილი სახელწოდებით: „ქართული ანბანი“, რომელზედაც ავტორის მხოლოდ ინიციალებია მითითებული. ამავე დროიდან (გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან), უცხოურის ბრძანდ მიბაძვით, სკოლაში მონაბეჭითი ამკიფრებენ ქართული ენისათვის შეუსაბამო და უსარგებლო მეთოდებს, მათ შორის „ამერიკულსაც“, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი უცხოური იყო, ამდენად, ახალი და პროგრესული. ეს მეთოდი აბსოლუტურად მიუღებელია ქართული ენისათვის.

20-იან წლებში ანაბანის რამდენიმე სახელმძღვანელო შეიქმნა ამ მეორედზე დაყრდნობით: 1. 1926 წელს – 3. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „პირველი წიგნი“; 2. 1927 წელს – 6. ბოცვაძინი.

სა და ე. ბურჯანაძის „ახალი წიგნი“; 3. 1928 წელს – ტ. ზალიშვილის „კისნავლოთ“; 4. 1933 წელს – პ. ჭანიშვილის „შრომა და ცოდნა“... ვერც ერთმა ვერ შეძლო იმ ფუნქციის შესრულება, რაც ქართული ანბანის სახელმძღვანელოს ეკისრობოდა: ესნავლებინა მოსნავლისათვის გამართული კითხვა და წერა ენის ლანგვისტური თავისებურებებისა და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. სწორედ ამის გამო ქართულ სკოლას კვლავ მოუხდა ო. გოგებაშვილის პრინციპებთან დაბრუნება და მათი გათვალისწინება საანბანო წიგნების შედგენისას. 1943 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა კომისია, რომელმაც განიხილა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა აგების მეთოდური რეკომენდაციები. კომისიის მიერ შემუშავებულ პრინციპებში ვკითხულობთ: „დედა ენის“ პირველი ნაწილი უნდა აიგოს ო. გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპით, სახელდობრ, იგი უნდა შედგეს ანალიზურ-სინთეზური მეთოდის კითხვა-წერის ხერხით. სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს სასაუბრო სურათებს, სახაზაფ-სახატავ ნიმუშებს, ანბანს საკითხები სავარჯიშოებითა და წერის ნიმუშებს, მარტივ სურათებს საგნის სახელის დასანერად, ანბანის შემდეგ საკითხება მასალას“ (ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდი-კა, თბ., 1953, გვ. 79). ამავე წელს გამოცხადდა ანბანის სახელმძღვანელოების კონკურსი, რომელშიც 1944 წელს გაიმარჯვა ე. ბოცვაძისა და ნ. ბურჯანაძის ანბანის სახელმძღვანელომ. წიგნს, კომისიის დადგენილებით, ეწოდა „დედა ენა“, რამდენადაც იგი სრულად მისდევდა და ითვალისწინებდა ო. გოგებაშვილის პრინციპებს, მაგრამ არ წარმოადგენდა ო. გოგებაშვილის „დედა ენის“ ბრძან კოპირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნის განხილვა (რასაც ჩევნ დღეს გრიფირებას უწოდებთ) გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. მასში მონანილეობდნენ ქართველოლოგიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური

დარგის იმდროინდელი კორიფეები: ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. თავაზშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედანი, ვ. რამიშვილი... აკ-ტრიუბს ჰქონდათ მათთან შეცვედრისა და საკუთარი მოსაზრებებს დასაბუთების უფლება. წიგნი გადამზუმდა იმდროინდელი სასწავლო პროგრამის მიხედვით, მასში შეკიდა არსებითი ცვლილებები. ეს შეეხებოდა ორგორც საკითხავ მასალას, ისე ასოთა თანმიმდევრობას, საანალიზო სიტყვებს, ასენერ მასალას, დასურათებას.... ეს ბუნებრივიც გახლდათ, რამდენადც ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემის შემდეგ 30-ზე მეტმა წელმა გამოლოდ და ქართული საბჭოთა სკოლა სრულიად ახალი მოთხოვნების წინაშე იდგა. ავტორ-შემდგენერათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ მოახერხს ი. გოგებაშვილის ძემკვიდრეობის ადაპტირება თანამედროვეობასთან და ამ წიგნს ახალი სიცოცხლე აჩუქეს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ვერც ეს წიგნი გაეცა კომუნისტური შტამპს (და ეს ბუნებრივიც იყო იმ დროის): აქ შეხვდებით „მშრომელთა ბელადების“ სურათებს, კომუნისტური იდეოლოგიით გაფულენთილ საკითხავ მასალას („კომლეურნეობა“, „პროველი მამა“, „ავტორი“, „მუსიკოსი“, „25 წლის პროგნოსი“).

ისი", „შვიდი ნოემბერი“, „25 თებერვალი...“).

მიუჟედავად ამისა, ამ წიგნმა უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული ცნობიერებით ბავშვების აღზრდასა და ო. გოგე-ბაშვილის მეთოდიკის გადარჩენაში. მარტივი არ ყოფილა ამ წიგნის გზა. ავტორებს კიდევ ერთხელ მოუწიათ კომისიის წინაშე ნარდგომა 1957 წელს, როდესაც ო. გოგებაშვილის იდეებ-სა და პრინციპებს საფრთხე დაემუქრა, ახალი საანბანო წიგნის შემოჭრისას. მხედველობაში გვაქვს ფსიქოლოგების: ზ. ხოჯავასა და ო. მოსიავას – საანბანო წიგნის პროექტი. წიგნი ი. გოგებაშვილის მეთოდების რევიზიისა ახდენდა. მასშინ კიდევ ერთხელ დაირაზმა მთელი ქართული საზოგადოება, ჩვენი მეცნიერები და ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯაანაძის წიგნი „გადარჩა“. გადარჩა, რადგანაც ის, ო. გოგებაშვილის მეთოდებზე დაყრდნობით, ემსახურებოდა განახლებულ ქართულ სკოლას. აღსა-

ნიშავრია, რომ ჩვენს უფროს თაობას ამ წიგნით აქვთ ნასაკლი ქართული ნერა-კითხვა და დღემდე ლრმად სჯერა, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ შეუცვლელია. ეს წიგნი ქართულ სკოლას ნაწარატებით ემსახურა 1980 წლამდე.

1969 წელს საქართველოში დაიწყო ექსპერიმენტი – 6-წლიანი ბავშვების სასკოლო განათლების პროცესში ჩართვა. სასკოლო ასაკად განისაზღვრა არა 7 (როგორც ეს ადრე იყო), არამედ 6 წელი. ეს ექსპერიმენტი გაგრძელდა 1980 წლამდე, 1980 წელს კი, საკავშირო მასშტაბით, დაინერგდა 6-წლიანთა სწავლება. ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ექვსწლიანთა თვის ანბანის სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი (როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილის, ასევე ბ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის „დედა ენებიც“ 7-8 წლის მოსწავლეთათვის გახსნული დედების შედეგენილი). ეს მისია ითავა ქართული ენის მეტოდიების ცნობილობა სპეციალისტება, პროფესორება ვ. რამაშვილმა. 1969 წელს დაბეჭდი მისია „დედაენა“ (და არა „დედა ენა“, როგორც მისი წინამორბედებს ჰქონდათ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ეს სიტყვა, როგორც ერთცნებიანი კომპოზიტი, იწერება ერთად). ბუნებრივია, რომ მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, ნიგნი მრავალი ცვლილება შევიდა როგორც საკითხვა და სანერ მასალაში, ისე წერა-ეთხევის პერიოდიზაციაში. გაიზარდა წინასანახანო ჟრიოლდ, შეიცვალა და გამარტივდა საკითხავი მასალა, იგი მოვიდა სასწავლო პროგრამის მოთხოვნებთან შესატყივისობაში, შეიცვალა საანალიზო სიტყვები, ასო-ბერათა თანმიმდევრობა, მაგრამ ბოლომდედაც ული იყო ის პრინციპები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომლებიც ი. გოგებაშვილმა დაამკვიდრა ქართულ საგანმანათლებლო რეალობაში. რამიშვილი გოგებაშვილის მეთოდიების აქტიური დამცველი გახლდათ და ახალგაზრდა მეცნიერთა მთელი თაობა გაზარდა ამ სულით. იგი 1989 წელს გარდაიცვალა. მისი ნიგნი ამის შემდეგაც წარმატებით ემსახურდებოდა ქართულ სკოლას.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ 2006 წლიდან დაიწყო სასკოლო განათლების რეფორმა, რომელმაც არ-სებითად შეცვალა სასწავლო პროცესი, დაინერგა ეროვნული

ლებური მიდგომები განვითარება სწავლა/სწავლების პროცესის მიმართ, შეიცვალა შეფასების სისტემა, დავალებათა ტიპები, რომელიც მოსწავლეზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. წინა პლანზე წამოინა არა ცოდნის დარღვევაბაზ (როგორც ადრე იყო), არამედ მოსწავლეთა შეიარაღებამ საზოგადო უნარ-ჩვევებით... სახელმძღვანელობით, ბუნებრივა, ამ პრინციპებთან შესატყვისობაში მოვიდა. სწორედ ამ მიზნით გამოცხადდა კონკურსი სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაზე 2005 წელს. კონკურსში გაიმარჯვა და გრიფი მიიღო ანბანის ორმა სახელმძღვანელომ, სახელწოდებით „დედაენა“: გამომცემლობა „მერიდიანი“, შემდგენლობის ნათელა მაღლაკელიძე, ელენე მაღლაკელიძე და გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, ვახტანგ როდიონაძა და ავტორთა ჯგუფი (როგორც ზემოთ აღნინიშნეთ, ამ წიგნს ი. გოგებაშვილის „დედაენასთან“ სახელწოდების მეტი არაფერი აკავშირებს და სრულიად განსხვავებული მეთოდით არის შედგნილი). ამ წიგნებმა კვლავ გაიმარჯვა 2012 წლის კონკურსში. მათ დაემატა გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის“ მიერ შედგენილი საანბანო სახელმძღვანელო, სახელწოდებით „დედაენა“, რომელიც ასევე მისდევს ი. გოგებაშვილის უკანასკნელ პრინციპებს. ამ სახელმძღვანელოთაგან უპირობოდ ლიდერობდა ნ. მაღლაკელიძისა და ე. მაღლაკელიძის „დედაენა“, ის იყვავებდა სასკოლო სეგმენტის ნახევარზე მეტს. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნს ჰქონდა დადებითი გამოხმაურებანი როგორც ი. გოგებაშვილის მეთოდიკის აქტიური დამტკიცებისაგან, ჰქონდებოდა ნ. მაღლაკელიძისა და ე. მაღლაკელიძის „დედაენა“, ის იყვავებდა სასკოლო სეგმენტის ნახევარზე მეტს. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნს ჰქონდა დადებითი გამოხმაურებანი როგორც ი. გოგებაშვილის მეთოდიკის აქტიური დამტკიცებისაგან, ჰქონდებოდა ნ. მასწავლებელებისაგან, ასევე გახდა, მოგვიანებით, ამ წიგნის სახინაალმდეგოდ აგორებული ე.ნ. შავი პიარის მიზეზი. მთავარი ნაკლი, როგორც პონენტები უკიუინებენ ავტორებს, გახსავთ ის, რომ წიგნი მოძველებულია, მისდევს ი. გოგებაშვილის პრინციპებს მაზინ, როდესაც თავად ი. გოგებაშვილი უკავე მოძველდა და დღეს ის აღარავის აინტერესებს. მაგრამ ამაზე ცოტა

დისკუსია „გეზა ენოს“ გარემოებრ

მოგვიანებით. ახლა კი ვისაუბროთ იმაზე, რა საფრთხის წინა-შე დადგა არა მხოლოდ გოგებაშვილის მემკვიდრეობა, არამედ ტერმინი „დედაენა“ ჩვენი მშობლიური ენის მნიშვნელობით, და აქედან გამომდინარე – ჩვენი ეროვნული იდენტიტობა?!
2013 წ. 10 თებერვალის 15 დღის 15 საათის შემდეგ

„ართვეს“ ნათელა და ელექტ მაღლაკელიძების საანბანო წიგნს სახელწოდება „დედაენის“ გამოყენების უფლება, მის უმეტეს, რომ ისინი არც ყოფილან ავტორებად მითითებული წიგნს სატიტულო ყდაზე აწერია: ი. გოგებაშვილის „დედაენის“ პრინციპების მიხედვით შეადგინეს ნათელა მაღლაკელიძემ, ელექტ მაღლაკელიძემ. საინტერესოა, როგორ უკრძალავენ ავტორობას, თუ ეს პირები ავტორებად მაინც არ არიან მითითებული ან ვინ აკრძალა „აი იასა“ და „აი თითის“ გამოყენება?! ეს იგივეა, რომ ავკრძალოთ ილია ჭავჭავაძის აკაკი წერეთლის, შოთა რუსთაველის... და სხვა კლასიკოსების ნაანრმოებთა გამოყენება სკოლაში, საკითხთავ მასალად ან მეთოდურად დაუმუშავებელი, ნედლი სახით, მივაწოდოთ თანამედროვე მოსწავლეს. ასეთივე ბედი ენია კულტურის სამინისტროში წარდგენილ ყველა საანბანო წიგნს, გარდა ერთისა: ეს გახლავთ მამა ზურაბ გიორგაძის მიერ გადამუშავებული „დედა ენა“, რომელიც ი. გოგებაშვილის სახელს ატარებს. ეს წიგნი, თუ არ ვცდებით, 2006 წელს გადამუშავდა და არასოდეს გამოუყენებით სკოლაში, უფრო მეტიც – იგი საერთოდ არ მისდევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ეს ბუნებრივიცაა: მამა ზურაბი არ გახლავთ პედაგოგიკუს დარგის სპეციალისტი. დღეს სწორედ ამ წიგნის „დაბრუნებას“ ითხოვს ი. გოგებაშვილის ზოგიერთი „დამცველი“ საინტერესოა, როგორ „აბრუნებენ“ ისინი სკოლაში წიგნს რომელიც არასოდეს ყოფილა სახელმძღვანელოდ გამოყენებული და აცდებილია თანამედროვე მოთხოვნებს; ან ვისგან იცავენ ისინი „დედა ენას“ – დარგის სპეციალისტებისაგან რომელთაც მოელი შეგნებული ცხოვრება ქართული ენის სწავლების კვლევასა და ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობს გადატეჩნას მიუძღვნეს?!

ტივიდან რთულისეკენ სცლა გააღვილებოდა და წერა-კითხვას-
თან ერთად, მნიშვნელოვანი მორალური და ეროვნული კრი-
ტერიუმებიც აეთვისებინა. გოგებაშვილი თითოეული ასოს
მოხაზულობაზეც დიდან ფიქრობდა და მხოლოდ ხანგრძ-
ლივი რეალურების მერე იღებდა გადაწყვეტილებას! „დედა
ენა“ მისი მრავალმხრივი და მრავალნაირი გარჯის შედევრა.

დღეს კი, იაკობ გოგებაშვილის მეტყვიდრეობასთან ერ-
თად, გაქრობის გზაზე შესანიშნავი ლექსიკური ერთეული
„დედაენა“. იგი ბევრს მხოლოდ წიგნის სახელწოდება ჰკონია.
ამ წიგნისა და ტერმინის გაქრობასთან ერთად კი, ქართულ
სკოლაში ქრება ის ეროვნული სული, რომელსაც საფუძველი
ჩვენმა დიდმა განმანათლებლებმა ჩაუყარეს. ამიტომაც გა-
ნათლების სამინისტროს მიერ გრიფირებულ დღევანდელ სა-
ანბანო წიგნებში უპირატესობა ენიჭება არა ფასეულობით
ღირებულებებზე, ეროვნულ ცნობიერებაზე ორიენტირებულ
საკითხავ მასალას, არამედ აუზნასა და ბაჟუნაზე, ღორგების
ოჯახზე, თალღამისა და კომბოსტოს ქორწინებებზე... დაწე-
რილ ტექსტებს.

ძეგობრებო! ფრთხილად, დედაება!..

ଆମ୍ବାରୁତୀଙ୍କୁ ଶେବେଳାପୁଟେଇବା

ԵՐԵՒԱՆ ՑԱՎԱՅԻ ՏՈՄՈԽ ՀԱՐՄԵՆՅԱ

აკაკი თერეთლის „გამზრდელის“ ერთ-ერთი პერსონაჲის, ბათუს შესახებ

საიდუმლოებას როდი წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლების მოსწავლეებს ყველაზე მეტად მოქმედ პირთა პერსონაჟთა თუ გმირთა დახასიათება უჭირთ. ისინი ფაქტობრივად ნანარმოების შინაარსს გადმოგვცემენ, ნაკლებად ან ხშირად ვერ ახერხებენ პერსონაჟის მრავალსახეობაში შექმნიონ მთავარი, არსებითი, ლოგიკურ მთლიანობაში გაიაზრონ ივი, მხატვრულ ნანარმოებში გამოსახული მოქმედი პირი წარმოიდგინონ როგორც ცოცხალი, რეალური არსება. ამა თუ იმ სავნის, მოვლენის, პიროვნების დახასიათებას ასტრაქტულ აზროვნებას მოითხოვს. დახასიათი ადამიანი, ნიშნავს გამოყოფილი მისი გარევნული და შინაგანი მხარეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი. იმსჯელო, ეს ნიშნავს, იაზროვნო კრიტიკულად, გონივრულად, ლოგიკურად, დაკვირვებითა და სიღრმეებში წვდომით. სწორედ ეს არის ჩემი როგორც პედაგოგის მიზანი. ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთად განვავითარო ფიქრისა და განსჯის უნარები მოსწავლეებში. ხშირად სვამენ მოსწავლეები კითხვას, რა განსხვავება პერსონაჟსა და გმირს, მოქმედ პირს შორის? რომელი შეიძლება ისტორიის კუთვნილებად ჩაითვალოს, გმირი თუ პერსონაჟი? პერსონაჟები მუშაობა ყოველთვის გვეხმარება გავსნათ ნანარმოების იდეა. მისი ქცევებისა და მოქმედების შეფასების ელემენტარული ჩვევებიც კი გვეხმარება გამოვიმუშაოთ მოსწავლეებს მოქმედ პირზე დაკვირვების უნარის ეს კი აუცილებელი პირობაა პერსონაჟის დახასიათების სწორად აგებისათვის. სამაგალითოდ ავიდე აკაკი წერეთლის „გამზრდელი“. უპირველეს ყოვლისა, კლასს ვახსენებ გაკვეთილის თემას, შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ, განმარტონ პერსონაჟის ცნება. მინი-ლექციის სახით ვესაუბრები ზოგადტო პური სახე-პერსონაჟების შესახებ, რომელთა პორტრეტულ სახეებზე აღბეჭდილია ქართული ხასიათისათვის ნიშანდობლივი, ზოგადადამიანური, ცხოვრების სული განცდები და განწყობილებები.

პროვოცირების მიზნით ვსვამ კითხვას – პერსონაჟს რომ დავაკვირდეთ, რას მივაქციოთ ყურადღება? მოსწავლეების ყველა პასუხს ვაფიქსირებ დაფაზე:

გ) დორისა და სივრცეს;
დ) მეტყველებას;
ე) ავტორისეულ ინფორმაციას (გმირის ვინაობა, წარმო-

